

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება- ეპიდემიოლოგია;

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი შოთა ცანავა

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოში ჯილეხის შემთხვევების იმუნო-ეპიდემიოლოგიურ კვლევას. ჯილეხით ინფიცირებული პაციენტების, ჯანმრთელი არავაქცინირებული ჯგუფებისა და ჯილეხის საწინააღმდეგო სხვადასხვა ვაქცინით იმუნიზირებული პირების ჰუმორული და უჯრედული იმუნური პასუხების შედარებით დახასიათებას. კვლევის შედეგად განისაზღვრება ხანგრძლივი იმუნიტეტის ფორმირებაში მონაწილე ახალი ფაქტორები, რაც თავის მხრივ შეიძლება საფუძვლად დაედოს ახალი, უფრო ეფექტური ვაქცინის შექმნას.

პროგრამის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში დოქტორანტი ჩამოყალიბდება მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად, სრულყოფილად დაეუფლება დარგობრივი კვლევის მეთოდოკას. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები გაამდიდრებს ჯილეხის იმუნოლოგიური ეპიდემიოლოგიის დღეისთვის არსებულ მონაცემთა ბაზას.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების სავარაუდო წინაპირობები:

დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რეზიდენტურის კურსდამთავრებულს. სასურველია დარგობრივი მუშაობის მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება და დარგობრივი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერთიფიკატები.

სამეცნიერო კვლევების მატერიალური ბაზა

ბაზას წარმოადგენს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, კერძოდ განსაკუთრებით საშიშ ინფექციათა სამსახური და მოლეკულური ეპიდემიოლოგიის განყოფილება. ლაბორატორიული ბაზა აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით.

არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე წელს შესაძლებელია ერთი დოქტორანტის მიღება.